ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2976792

ნომერი: AR1456535

თარიღი : 15.11.2016

გაცემის თარიღი : 12.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N80ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამედ ჰასან გივე ჩიან პ/ნ 01397002737
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 15 ნოემბერს #AR1456535 განცხადებით მომართა მოჰამედ ჰასან გივე ჩიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა, #80ა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.72.14.038.099), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 07.11.2016 წლიდან 07.05.2017 წლის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს DELTA. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882015636988, მომზადების თარიღი: 12/11/2015 წ., ს/კ: #01.72.14.038.099) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს DELTA. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B14112722; მომზადების თარიღი: 12/11/2014 წ.; ს/კ: #406045603) თანახმად, შპს DELTA-ს დირექტორს წარმოადგენს მოჰამედ ჰასან გივე ჩიან.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამხმარე ფართობის - 14.18 კვ.მ-ის ამოღებას, საცხოვრებელ ფართობად 1465.91 კვ.მ-ის ნაცვლად 1412.71 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 342.42 კვ.მ-ის ნაცვლად 342.40 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 92.92 კვ.მ-ის ნაცვლად 53.20 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 2358.93 კვ.მ-ის ნაცვლად 2251.81 კვ.მ-ის დაფიქსირებას. თუმცა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ვექტორული ფაილის გადამოწმების შედეგად დგინდება რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ვექტორულ ფაილში მითითებულ ფართობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ვინაიდან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ვექტორულ ფაილში მითითებულ ფართობებს, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის #2933918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7),